Подписано
цифровой подписью:
LEPL Georgian state
teaching university of
physical education
and sport
Дата: 2022.07.20
16:08:38 -07'00'

ხელშეკრულება № 142

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 20.07.2022 წ.

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”, წარმოდგენილი რექტორის **ჯემალ ძაგანიას** სახით და **შპს „ნკ თრეველ“** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინო გაფრინდაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“_წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 **სატრანსპორტო მომსახურების (თბილისი-ქუთაისი-თბილისი)** ხელმწიფო შესყიდვა .

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 60170000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 611.00 ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) **უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებითა გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ა/წ 20 ივლისს.**

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს შემსყიდველის ინფორმაციული უზრუნველყოფა გაწეული მომსახურების შესახებ;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესაბამისი პირობები და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „მიმწოდებელს“ „მომსახურების“ მოსაწყობად აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1 განხორციელებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ,,საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“-ს თანამშრომელი ლევან სიმონიშვილი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში გამოასწოროს წუნი.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ ,,საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“-ს რექტორის ჯემალ ძაგანია და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვლადიმერ ბოჟაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტი**

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **20 (ოცი)** დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-**ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 გათვალისწინებული პირობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-**ის ოდენობით.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **2 (ორი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“, მის: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის ქ. # 49, ტელეფონი: 599-91-98-99, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. # GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22; სკ-205304357.	**შპს ნკ თრეველ** **ქ. თბილისი** **სს „საქართველოს ბანკი“** **GE47BG0000000649054900** **ს /კ: 400184689**